პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი კვირა 12 ივლისი № 162 (18104) ☐ ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲕᲔᲜᲐᲮᲡ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ, ᲕᲔᲜᲐᲮᲜ!

ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ!

ᲕᲘᲡᲐᲒ კი შეხვდებით სიღნაღის რაიონში, სოფელში, ყველა ვაზზე და ვენახზე, მის გასაპირზე ჩამოგდებს ლაპარაკს.

ასე არასოდეს გასპირვებია ვენახს. ჭარაქისა და ნაცრის კერებმა მეტ-ნაკლებად ყველგან იჩინა თავი, ახლა იმაზე კი არ არის ლაპარაკი, თუ რატომ გაჩნდა ეს დაავადებანი, არამედ იმაზე, ვინ როგორი იფხიზლა, გაისარჯა, ადრე შენიშნა და მოსპო ეს კერები და ახლა დღენიადაგ თავგამოდებით ებრძვის მათ, ზოგან ათჯერ და მეტჯერ შეწყვალა ვენახები.

ჭარაქმა და ნაცარმა უფრო მეტად ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ვენახებს დარია ხელი. ახლა აქაც კი გამოიდეს თავი, მაგრამ, რომ იტყვიან, გვიანღა არის თითზე კბენანი. ზოგან დაავადება უკვე მტევანზე გადავიდა და ნაყოფი ერთიანად გააჩანაგა.

სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ზვრებს სხვა უბედურება ეწვია. 40 ჰექტარი ვენახი ისე დატბორა, რომ შიგ შესვლას ვერაფერი ახერხებენ.

— ორჯერ ბორდოს სითხით შეგწაღლეთ, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ზათიშვილი, — მაგრამ ვერაფერი ეშველა. ბუნების ამ სატკივარს ისე გადაუვლია ზედ, რომ ვაზს სასიკეთო პირი აღარ უჩანს. გადაუღებელი წვიმის, ტბორისა და ტალახის გამო ვაზის დაავადების მხრივ ქვემო მაჩხაანი გამოსაკლისი არ არის. დაავადებამ საგრძნობლად იჩინა თავი ძველი ანგის და ტიბაანის ვენახებში, მაგრამ ეს იმარჯვეს, ტრაქტორის საწამლი აპარატებით რომ ვერაფერს გახდნენ, ვერტმფრენავი იქირავეს და ამით მოახერხეს ვენახების წამალი. როგორ უშველის ეს, კიდევ საკითხავი. უკეთესია, თუ ასეთ ვენახებს ზურგის საწამლი აპარატებითაც მოეხმარებიან.

რაიონში საგანგაშო მდგომარეობაა. კოლმეურნეებს ეხმარებიან მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები ახალგაზრდობა, გუშინ ვენახში 5 ათასზე მეტი კაცი, 156 საწამლი აგრეგატი, 2 ვერტმფრენავი მუშაობდა. შეიწამლა, გაიფურჩნა და გაითოხნა 1160 ჰექტარი ვენახი.

9.500 ჰექტარზეა გადაჭიმული წითელწყაროელთა საზოგადოებრივი ზვრები, საკარმიდამო კიდევ სხვაა.

სასიკეთოდ, მევენახეთა სასიქადულოდ ვაზმა უზვად დაიასხა.

— ჰექტარზე 150 ცენტნერს არაფერი დააკლდება, — სიხარულით ამბობდნენ მევენახეები. ერთხანს ამინდიც მათ მხარეზე იყო, მაგრამ, ნათქვამია, ნამეტანი არაფერი ვარგაო. გამუდმებულმა წვიმებმა ვაზიც და მევენახეც შეაწუხა. ჭარაქმა და ნაცარმა იჩინა თავი, თოხნას, კულტივაცია-ფურჩვნას ვერ აუდიოდნენ...

ᲥᲐᲛᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡᲐ

ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲘ

ვინც ადრე შენიშნა ეს სენი, ადრე იღონა, ამინდის ნათელი პერიოდები კარგად გამოიყენა, ვენახსაც უშველა. სოფელ ზემო ქედში, ოზაანში, არხილოსკალოში ვენახები კარგად გამოიყურება.

სამწუხაროდ, ასე არ არის ყველგან. სოფელ არბოშიკის, ქვემო ქედის და გამარჯვების საკოლმეურნეო ვენახებში ერთ დროს მიშვებულ და მოძალებულ საქმეს ვეღარ აუდიან. სადაც ადრე სარეველა უნდა გამოეთოხნათ, ახლა ცელით თიბვასაც ვეღარ ასწრებენ.

არბოშიკის კოლმეურნეობაში ჭრაქი მოედო 200 ჰექტარს, ხოლო ნაცარი — 150 ჰექტარს.

ყოველივე ამას წვიმას აბრალებენ. მაგრამ განა სხვაგან არ წვიმდა?

ის შეშფოთება, წუხილი და გარჯა, რასაც ახლა ისინი თავდადებული სტიქიის გამო იჩენენ, ცოტა ადრე — გუშინ, გუშინწინ რომ გამოეჩინათ, აქამდე არ მივიდოდა საქმე. განსაკუთრებით დაზიანებულია იმ ბრიგადების ნაკვეთები, რომელთაც, კომუნისტები ვ. ზუბიაშვილი, ტ. ბალაშვილი და ს. სეფიაშვილი ხელმძღვანელობენ.

შვილს რომ უჭირს, მშობელი ეხმარება ხოლმე, მშობელს რომ უჭირს — შვილი. ამ განსაცდელის დღეებში კი სოფელში ეს არ იგრძნობა. ბევრი ისეთი ოჯახია, რომელიც ინფუნოზიც არ აგდებს კოლმეურნეობის გასაპირს, მისი არც ერთი წევრი ვენახში არ გამოდის. როგორც თვითონვე ამბობენ, 50 კოლმეურნე საერთოდ, საზოგადოებრივ შრომაში არ მონაწილეობს. ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობას ყოველდღიურად რაიონის 200-250 მუშა-მოსამსახურე ეხმარება.

გუშინ სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების საზოგადოებრივ ზვრებში შექმნილი მდგომარეობის გარკვევისა და სიძნელეთა დაძლევის მიზნით ორივე რაიონში გაიმართა პარტიის რაიკომების გაფართოებული თათბირები, რომლებსაც ესწრებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა. წითელწყაროში რაიკომის ბიუროს მკაცრად იმსჯელა არბოშიკის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის შესახებ, რომელმაც ვერ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე, ენერგია, საქმისადმი თავდადება და ამის გამო სერიოზულად დაზიანდა ვენახების გარკვეული ფართობი. სასტიკი პარტიული სასჯელი დაედოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. ბატიაშვილს, პარტიული კომიტეტის მდივანს ზ. ჯამალაშვილს, მთავარ აგრონომს გ. ბატიაშვილს.

სასჯელი თვითმიზანი არ არის. ვენახს უჭირს. ეს ყველამ იცის, მაგრამ ყველა ერთნაირად არ წუხს. ეს საწყენია, სულ ერთი კვირის განმავლობაში წყდება ყურძნის მოსავლის, უფრო სწორად, მევენახეთა პრესტიჟის ბედი: სიღნაღისი უნდა ქენჯნიდეს იმას, ვინც ამ განსაცდელის დღეებში ძინ გამოკეტილა.

პარტიის წითელწყაროს რაიკომი ასეთ მძიმე დღეებში შეუბრალებლად ექცევა იმათ, ვისაც ვაზი, ჩვენი სიამაყე, არ ებრალება, მკაცრად სჯის იმათ, ვინც ამას იმსახურებს. რაიკომის პოზიცია სწორი და მიუკერძოებელია.

Თ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲘ: ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲛᲔᲮᲘᲚᲔᲗᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიუწყებოდით, 10 ივლისს გორში გაიმართა მეხილეთა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროთა და უწყებათა, სახალხო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სასოფლო-სამეურნეო სამმართველოებისა და გაერთიანებების უფროსები, მოწინავე მეხილეები და საკონსერვო მრეწველობის მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები. მათ განხილეს თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგებებისა და მითითებების შესაბამისად დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციის პრობლემები, რომლებიც დარგის მშრომელთა წინაშე დგას.

ᲒᲐᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲪ!

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝ ბაღი... ამ სიტყვების გაგონებაზე ყოველ ჩვენთაგანს, რა თქმა უნდა, თვალწინ წარმოუდგება კოხტად ჩამწკრივებული, საგულდაგულოდ მოვლილი, ნაყოფით დახუნძლული ხილის ხეები. ასეთი ბაღი აქვთ მაგალითად, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლადო ციცხოველის სახელობის კოლმეურნეობას, ქიზნისის სანერგე მეურნეობას, ქვემო ქართლის საბჭოთა მეურნეობას, ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე მეურნეობას და სხვებს. მაგრამ პოეტური წარმოდგენა ბაღზე ქარწყლდება, როცა ეცნობი გორის რაიონის სოფლების ნიკოზისა და მეჯვრისხევის კოლმეურნეობებს, შინდისის საბჭოთა მეურნეობას, ქარელის რაიონის ბრეძისა და ქვინატაღოცის საბჭოთა მეურნეობების ბაღებს, ქართლის ბევრი სხვა მეურნეობის ბაღებს, სადაც მეხილეობა სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგია. ხეები აქ მოუვლელია, დაავადებული, სარეველა მცენარეებს დაუჯაბნია. და რა თქმა უნდა, 20-25 ცენტნერი მოსავალი, ჩვეულებრივზე სამოთხეჯერ ნაკლები — ასეთი ბაღისთვის ნორმად ქცეულა.

რესპუბლიკის ხეხილის ბაღების, გადამამუშავებელი საწარმოების მდგომარეობა თათბირის მონაწილეებს გააცნო საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მუშაკთა მიერ გადაღებულმა ფილმმა-მოხსენებამ.

ერთმანეთს ცვლიან კადრები, თვალწინ გიდგება უღიმღამო, უბადრუკი ბაღები და გწყრის, გრეხვენია ცხინვალის, ახალციხის, გარდაბანის, თელავის, სამტრედიის, რესპუბლიკის სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მაგივრად, რომლებმაც ასე მიუშვეს ხელი საქმეს მათთვის მინდობილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ვერ გაიგეს ის დიდი როლი, რომელიც დღეს ენიჭება მებაღეობის, როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას. არადა მებაღეობას, მეცხოველეობასთან, მევენახეობასთან და მეჩაიეობასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

ᲛᲘᲕᲑᲐᲫᲝᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ, ᲛᲘᲕᲐᲚᲬᲘᲝᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲡ

თათბირს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვის წყალობით საქართველოს მეხილეობა ბოლო წლებში ინტენსიურად განვითარდა, რომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შევინარჩუნოთ ეს სტაბილური წინსვლა, ახალი წარმატებანი მოვიპოვოთ მეთერმეტე ხუთწლედში. კერძოდ, აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედში ხილის წარმოება გაიზარდა 1,3-ჯერ, ჰექტარობრივი მოსავლიანობა კი — 5,3 ცენტნერით. მყარი საძირკველი ჩაეყარა დარგის გადაყვანას სამრეწველო რელსებზე, შეიქმნა დიდი აგროსამრეწველო კომპლექსები. ქართლში, 11 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობზე, გაშენდა ინტენსიური ბაღები. ეს ნიშნავს, რომ მთელ ფართობზე ხეები დარგულია შეხშირებულად, რაც შესაძლებლობას იძლევა ერთსა და იმავე ფართობზე მოიწმინდ თითქმის ერთიორად მეტი მოსავალი, ვიდრე ჩვეულებრივ ბაღში. პროგრესული ტექნოლოგია რესპუბლიკის სხვა ზონებშიც ვრცელდება. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა ხილის საშუალო წლიური დამზადება გაზრდილიყო მეცხრე ხუთწლედის 199 ათასი ტონიდან 347 ათას ტონამდე მომდევნო ხუთწლედში. რესპუბლიკის მეხილეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს მიერ მეათე ხუთწლედის შესრულებაში, ზედიზედ მეოცე რესპუბლიკის დაჯილდოებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამასთან ერთად, როცა საქმიანად, კრიტიკულად შეიფასა მეხილეობის სადღეისო მდგომარეობა და აწონ-დაწონა იმ დიდი ამოცანების რეალიზაციის შესაძლებლობანი, რომლებიც დასახულია ახალ ხუთწლედში დარგის განვითარებისათვის, თათბირმა ყურადღება გაამახვილა გადასაჭრელ პრობლემებზე, „ვიწრო ადგილებზე“.

დასანანია ის ფაქტი, აღინიშნა თათბირზე, რომ მოწინავე მეურნეობების ფონზე, რომლებმაც მიაღწიეს მოსავლის დიდ ჰექტარობრივ გამოსავლიანობას, ჯერ კიდევ ბევრია არარენტაბელური, ჩამორჩენილი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. საკმარისია ითქვას, რომ 62 რაიონიდან დიდმა უმრავლესობამ ვერ შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გაგზავნილი ხუთწლედის გეგმები. მართო შარშან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ჰექტარზე მოკრეფეს სულ 31 ცენტნერი ხილი, მაშინ როცა გეგმა 65 ცენტნერს ითვალისწინებდა. ხოლო 20 რაიონიდან, სადაც მსხმოიარე ბაღებს 7 ათასი ჰექტარი უკავია, საშუალოდ 10 ცენტნერზე ნაკლები მოსავალი მიიღეს. ყოველივე ამან ადამიანებს დიდად დააკლო ესოდენ საჭირო პროდუქცია.

ამ ეტაპზე დარგის მუშაკებისათვის დასახული ამოცანა ზუსტი და მკაფიოა. მეხილეობა დიდად რენტაბელურ, დიდად შემოსავლიან, უხვმოსავლიან დარგად უნდა იქცეს. საამისოდ ყველა შესაძლებლობა გვაქვს. უკვე ახლა შეგვიძლია მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით, მოწინავე პრაქტიკის გამოყენებით 40 ათას ჰექტარზე გაშენებულ, ამჟამად მცირეპროდუქტიულ ბაღებში მივაღწიოთ იმას, რომ მოვიწიოთ 80 ათას ტონაზე მეტი ხილი, რაც ერთიორად აღემატება მათს ფაქტობრივ მოსავლიანობას.

ხილის წარმოების გადიდების მეორე რეზერვია სიმეჩხრესთან ბრძოლა, ბაღების მოვლის აგროწესების ზუსტად დაცვა, დაგალობრივი ხუხმოსავლიანი ჯიშების გაშენება.

თათბირზე აღინიშნა, რომ უფლება გვაქვს მეტი მოვთხოვოთ მეცნიერებსა და სპეციალისტებს. ბაღებს ახალი, გაუმჯობესებული ჯიშის ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, სჭირდება. ბაღებს სჭირდება თანამედროვე სპეციალური ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვნად გაეუიოლებთ შრომას შემაღეს, მკვეთად ავამაღლებთ დარგის მექანიზაციის დონეს.

ძალზე საჭიროა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიგაყაროთ ძველი, ამორტიზებული ბაღების განახლებას, მათს ძირფესვიან რეკონსტრუქციას. განსაკუთრებით დიდ ზრუნვას საჭიროებს გასულ ხუთწლედში გაშენებული სამრეწველო ტიპის ბაღები, რომლებიც უკვე ნაყოფს ისხამენ. ამ ბაღებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხილის წარმოების შემდგომი გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ

მეხილეობის განვითარების პრობლემას საქმის მარტო რაოდენობრივი მხარე როდი წყვეტს. მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია პროდუქციის ხარისხის საკითხის გადაწყვეტა. ხარისხი კი ჯერჯერობით არცთუ ისე კარგია. თათბირზე მოიყვანეს დაბალხარისხოვანი პროდუქციის მიღების ფაქტები. მაგალითად, ისეთ დიდ მეხილეობის რაიონებში, როგორიცაა მცხეთის, ცხინვალის, კასპის, ახალციხისა და ადიგენის რაიონები, მთელი მოსავლის თითქმის მესამედი ხარისხის მესამე კატეგორიას განეკუთვნება, რაც არასტანდარტული პროდუქციის ტოლფასია. ამიტომ ამ რაიონების მეურნეობები დიდ ფულად სახსრებს კარგავენ. ეს კი თავის მხრივ, მოქმედებს მათ ეკონომიკაზე, ქალაქებისა და საკონსერვო ცეხტრების მოსახლეობის ხილით მომარაგებაზე.

როგორ გავაუმჯობესოთ ხილის ხარისხი? ამას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ — ბაღების მოვლით დაწყებული და ხილის შენახვით, მომხმარებლისათვის მიწოდებით დამთავრებული. აქ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს — ტრანსპორტის ზუსტ მუშაობასაც, ტარაში ხილის ფრთხილად, სწორად ჩაწყობასაც და გადატანასაც, საწყობებსა და მაცივრებში, ხილსაცავებში შენახვასაც. სწორედ ამიტომ ამ საკითხში საჭიროა ხილის კონვეიერის ყველა რგოლის მუშაობის ზუსტი, მწყობრი სისტემა, თითოეული მუშაკის მაღალი შეგნებულობა და პასუხისმგებლობა. უნდა შევამციროთ ხილის კრეფის პროცესი, რომელიც ჩვენში, როგორც წესი, გვიან შემოდგომამდე ჭიაანურდება. ეს ხარისხსაც გაუუმჯობესებს და დანაკარგებსაც შეგვამცირებინებს.

ამავე დროს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა უნდა იზრუნონ ჩვენი ხილის ასორტიმენტის გაფართოებისათვის. რატომ არ უნდა იყიდებოდეს მაღაზიებში ბროწეული, ლეღვი, კაკალი, თხილი, სხვა „დეფიციტური“ პროდუქტები? მეურნეობებს ხომ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დიდი რაოდენობით აწარმოონ ეს პროდუქტები, მოამზადონ რეალიზაციის მოსახლეობა, ამავე დროს საქართველო მდიდარია ველური ხილითაც. შინდი, ასკილი, მაყვალი და სხვა ამგვარი საუცხო ნაყოფს იძლევა, რომლის გამოყენება წარმატებით შეუძლიათ კვების მრეწველობის საწარმოებს. ტყის ნომათის გამოყენება დიდად დაგვეხმარება ხილისა და კენკრის დამზადების გაზრდაში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

410 ᲐᲗᲐᲡᲘ ტონა ნედლეული უნდა გადაამუშაონ წლევანდელ სეზონში რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის მუშაკებმა. ეს 124 ათასი ტონით მეტია, ვიდრე შარშან გადამუშავდა და 41,5 ათასი ტონით სჭარბობს გეგმას. საკონსერვო საწარმოებმა უნდა გამოუშვან 125 დასახელების 460 მილიონი პირობითი ქილა კონსე-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-ᲖᲔ ᲒᲖ.).

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ

ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐᲡ, ᲙᲣᲚᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐᲡ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ამას წინათ გამართულ მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე, სხვებთან ერთად მიწეული იყო თელავის სანერგე საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი, რაციონალიზატორი გივი ჯავახიშვილი. ჩვენ მას სამუშაო უბანზე ვეწვიეთ და ვთხოვეთ მოეთხრო მიღებული შედეგების შესახებ. აი რა თქვა მან:

— მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა ასეთ დიდ შეკრებას პირველად ვესწრებოდი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამან მე გარკვეული სიამაყე მომანიჭა, უფრო ღრმად დამაფიქრა და მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჩემთვის ის გარემოება, რომ აქ დაუფარავად, შეულამაზებლად გააანალიზეს სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში, განსაკუთრებით მევენახეობაში, ჯერ კიდევ დაბალია მიწათმოქმედების კულტურის დონე, სუსტად ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, უყურადღება არ ექცევა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. შეკრებაზე კვლავ მთავარი უყურადღება დაეთმო დროის რაციონალურად გამოყენების საკითხს.

— ცნობილია, — თქვა მან, — რომ ჩვენს მეურნეობაში ჯერ კიდევ 1972 წელს დავნერგეთ ვენახების ერთფეროვანი წამლობა-კულტივაცია. ერთ „ტ-54“ ტრაქტორზე მიბმულ „ოვტ-1ა“ მარკის წამლის შესასხურებელთან ერთად ჰიდროსისტემით მიკამაგრეთ კულტივატორი. ამან საშუალება მოგვცა ერთი ტრაქტორით, ერთ მექანიზატორს ერთდროულად შეესრულებინა ორი სამუშაო — ვენახების შეწამვლა და კულტივაცია. ამ აგრეგატის ეფექტი ის გახლავთ, რომ ეზოგება დიდძალი საწვავ-საპოხი მასალები, იზრდება მექანიზატორის მატერიალური ანაზღაურების დონე და, რაც მთავარია, იზოგება ძვირფასი დრო, რომელიც ავდრობისას ოქროდ ფასობს. აღნიშნული აგრეგატი კარგად მუშაობს მაშინაც, როცა ნიადაგი სველია და სხვა სახის ტრაქტორებს უჭირთ მწკრივთაშორისებში გავლა. „ტ-54“ მარკის მუხლუხებიანი ტრაქტორი კარგად მუშაობს. აქ სათქმელია ისიც, რომ ავდარში ვაზი მეტ მოვლა-პატრონობას მოითხოვს. სწორედ ეუდ ამინდებში ჩნდება ვაზის დაავადების — ჭარაქის, ნაცრის და სხვა საშიში კერები, — დატბორილ ვენახებში „ტ-25“ მარკის ტრაქტორები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვიყენებთ ვენახების შესაწამლად, მწკრივთაშორისებში ვერ შედის, და თუ შედის, ტალახნის ნიადაგს, რაც არღვევს სტრუქტურას, ხოლო „ტ-54“ მარკის ტრაქტორზე ჩვენ მიერ შექმნილი აგრეგატი ნიადაგს აფხვიერებს და ზღუდავს ტენის აორთქლებას. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ თითო კულტივაცია ტოლფასოვანია მსუბუქი რწყვისა, და ამდენად აქაც დიდ ეფექტს იძლევა ჩვენი აგრეგატი. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ „ტ-25“ მარკის ტრაქტორები მხოლოდ 3 თვეს მუშაობს, დანარჩენ დროს უქმად არის გაჩერებული და მათი ამორტიზაციის ანარიცხები ზზრდის უფრძნის თვალიერებულებას, ნათელი გახდება, რომ „ტ-54“ მარკის ტრაქტორების გამოყენება ისე, როგორც ჩვენ გადავაკეთეთ, დიდ ეკონომიკურ მოგებას მისცემდა მეურნეობას. პრაქტიკულად ეს რომ ასეა, ისიც მეტყველებს, რომ ამ ეთასაკენ აგრეგატებს უკვე ვხვდებით მეზობელი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაგალითად საგარეჯოს, გურჯაანის, ყვარლის რაიონების ვენახებში.

ამ საქმეში წინააღმდეგობასაც ვაწყდებით: ამ საჭირო აგრეგატის გაკეთება ფაქტობრივ სატრაქტორო პარკში გვიხდება კუსტარული წესით, არც ინჟინრული გაანგარიშებანი გვაქვს და ხშირად საჭირო ნაწილები და სხვა მასალებიც გვაკლია. ვფიქრობთ, დროული იქნება, თუ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები დაინტერესდებიან ამ საკითხის რაც შეიძლება ოპერატიულად მოგვარებით.

მეურნეობაში შევქმენით აგრეთვე ვენახის სანერგეში მომუშავე აგრეგატი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად აწარმოოს სამი ოპერაცია: წამლობა, რიგთაშორისების კულტივაცია და მინერალური სასუქების შეტანა. აღნიშნული აგრეგატი დიდ დახმარებას გაუწევს იმ მეურნეობებს, რომლებიც ვაზის ნერგს აწარმოებენ.

ჩვენი მექანიზატორების მუყაითი შრომის შედეგად შეიქმნა აგრეგატი, რომელიც აწარმოებს ვაზის ნერგის ამოღებას, თავის დაჭრას და ბუნკერში მოთავსებას. ჩვენი აზრით, ეს აგრეგატიც ეფექტიანია და საჭიროა მისი წარმოებაში დანერგვა.

მეურნეობის მშრომელთა და მექანიზატორთა ერთსულოვანი მიზანია მიმდინარე წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მივცეთ 600 ტონა ყურძენი, 2 მილიონი ცალი ვაზის ნერგი. უთუოდ მიზანს მივაღწევთ, ამის უტყუარ გარანტიას იძლევა, წლევანდელი ავდრის პირობებში, სანიშნშოდ მოვლილი ჩვენი ზვრები და სანერგეები. ამ ავდრებში ჩვენს მეთოდს იმდენი სხვა მეურნეობებიც გამოიყენებენ.

Დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: აგრეგატი, რომელიც ერთდროულად ასრულებს ვენახების შეწამვლასა და კულტივაციას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲔᲛᲔᲢᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲔᲛᲔᲢᲘ ხუთწლედში რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც ახორციელებდნენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებებს, გარკვეულ დადებით შედეგებს მიაღწიეს ჩაის მრეწველობის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ჩაის წარმოების გადიდების საქმეში.

ხუთი წლის განმავლობაში დაგეგმილი 1.865 ათასი ტონის ნაცვლად მოიკრიფა და გადამუშავდა 2.150 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 440 ათასი ტონის ნაცვლად წარმოებულია 540 ათასი ტონა ბაიხაო ჩაი. ჩაის ფაბრიკების გადასამუშავებელი სიმძლავრე გაიზარდა დღე-ღამეში 8.500 ტონამდე. დაიწყო სამუშაოები, რათა შეიქმნას წარმოება ორგანიზაციისათვის დაბალი ხარისხის ჩაის გადამუშავებისა და ხსნადი ჩაის, კონცენტრატებისა და ახალი მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტების მიღებისათვის.

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს. ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მუშაკებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს ჩაის თხევადი კონცენტრატების შექმნისათვის მუშაობაში, რომელთა საწარმოებლად მახარაძის რაიონში პარტიის რაიკომის ინიციატივით მოეწყო საცდელი წარმოება.

ამასთან ერთად მეათე ხუთწლედში კვლავინდებურად იყო სიძნელენი ჩაის ფოთლის გადამუშავებაში სიმძლავრეთა უკმარისობის გამო. სერიოზული ნაკლოვანებები იყო დაშვებული დარგის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში. ნელა ხორციელდება ჩაის მრეწველობის განვითარების ღონისძიებანი.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახულ ახალ ამოცანათა და თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში გამოთქმულ მითითებათა შესასრულებლად და ჩაის მრეწველობის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების, ჩაის ხარის

ფაქტები მოვლენები

● იტალია

კამათი დამთავრდა

რომი. იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატაში დამთავრდა კამათი მთავრობის პროგრამის გამო, რომელიც წარმოადგინა ახალი კოალიციური კაბინეტის მეთაურმა, რესპუბლიკელმა ჯ. სპადოლინიმ. როგორც ცნობილია, მთავრობა შეიქმნა ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და ლიბერალური პარტიების წარმომადგენლებისაგან.

მთავრობის პროგრამა, განსაკუთრებით ეკონომიკისა და მართლწესრიგის დარგში, სერიოზულად გააკრიტიკა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა, დეპუტატთა პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ პ. ინგრაომ.

კონგრესმენის მოწოდება

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის წარმომადგენლთა პალატის წევრმა პ. ხაიმონმა მოუწოდა რაც შეიძლება მალე გაანალიზონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის კონსტრუქციული დიალოგი. პ. ხაიმონი მეთაურობდა კონგრესმენთა დელეგაციას, რომელიც ახლახან სტუმრად იყო საბჭოთა კავშირში.

მიუხედავად იმისა, რომ ორ სახელმწიფოს შორის არსებობს გარკვეული უთანხმოება ზოგიერთ საკითხზე, ხაზგასმით აღინიშნავს იგი აქ გავრცელებულ განცხადებაში, საბჭოთა და ამერიკელი ხალხები უაღრესად არიან დაინტერესებული ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებითა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებით.

ერთობლივი განცხადება

ნიუ-იორკი. ინდოჩინეთის ქვეყნები კატეგორიულად უარყოფენ ეგრეთ წოდებული „კამპუჩიის საქმეების საერთაშორისო კონფერენციის“ მოწვევის იდეას, ნათქვამია, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად. ეს კონფერენცია კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, პოლპოტელთა გენოციდის რეჟიმის მხარდაჭერა იქნება მის ბრძოლაში კამპუჩიელი ხალხის აღორძინების წინააღმდეგ.

ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამი ქვეყანა გადაჭრით გმობს ყოველგვარ მოქმედებას, რომლის მიზანია ყველა ჯურის ქხმერი რეაქციონერების გაერთიანება, აგრეთვე ცდები გაამართლონ პოლ-პოტის რეჟიმი და კვლავ თავს მოახვიონ იგი კამპუჩიელ ხალხს. განცხადებაში ნათქვამია, რომ მსგავსი მოქმედება ხელს აძლევს მხოლოდ პეკინელ ჰეგემონისტებსა და ამერიკელ იმპერიალისტებს.

● ირანი ჭიიღეს კანონი

თეირანი. ირანის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც აწესრიგებს ქვეყანაში პარტიებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობას. კანონის შესაბამისად იკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ზიანს აყენებს ისლამურ რესპუბლიკას.

როგორც თეირანის რადიო იუწყება, ქ. ისპაანში ისლამური სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით სიკვდილით დასაჯეს ირანის არმიის სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ბრალად დასდეს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობა და ძირგამომთხრელი ხასიათის ბეჭდვითი გამოცემების გავრცელება.

ირანის რევოლუციის ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ არმიას მოუწოდა გამოავლინონ და მართლმსაჯულების ორგანოებს გადასცეს არმიის რიგებში შეპარული დამნაშავენი და მექრთამეები.

● აშშ ვიზიტად ვაშინგტონში

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქში ერთდღიან ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა კანადის პრემიერ-მინისტრი პ. ტრიუდო. იგი შეხვდება პრეზიდენტ რ. რეიგანსა და ამერიკის სხვა თანამდებობის პირებს.

მიმმხილველთა აზრით, კანადის პრემიერის მოლაპარაკება ვაშინგტონში შეეხება ორ ძირითად საკითხს — შვიდი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა თათბირს, რომელიც ოტავაში 20 ივლისს დაიწყება, და ორმხრივი ურთიერთობის ყველაზე მწვავე პრობლემებს. ამერიკის პრესა სკეპტიკურად აფასებს კანადის პრემიერ-მინისტრის წარმატების შანსებს და აღნიშნავს, რომ კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ღრმა წინააღმდეგობანია.

პრესა აღასტურებს

გადაადგილება თუ პროვოკაცია?

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატები აჭატიურებს საომარ მზადებას დასავლეთ ევროპაში, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი კონტინენტის უშიშროებას. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, პენტაგონმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული ამერიკის ჯარების ძირეულ გადაადგილებას ახლანდელი ბაზებიდან სოციალისტური ქვეყნების საზღვრებისაკენ. ამ გეგმას, წერს გაზეთი, პენტაგონი „ძალიან დიდ მნიშვნელობას“ ანიჭებს და ერთობ „სასწრაფო ღონისძიებად“ მიიჩნევა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებს დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე 200-ათასიანი შეიარაღებული კონტინგენტი ჰყავს, ბოლო დროს ფედერაციულ გერმანიაში განლაგებულ ამერიკის მთელ რიგ სამხედრო ბაზებში სწრაფად განახორციელეს მოსამზადებელი ღონისძიებანი ეგრეთ წოდებული „სწრაფი მოქმედების ნაწილების“ მისაღებად. ახლა ვაშინგტონი აპირებს დასავლეთ გერმანიაში განლაგებული თავისი ჯარები ქვეყნის ცენტრალური და სამხრეთი რაიონებიდან აღმოსავლეთისაკენ გადაიყვანოს და არ მალავს, რომ ამას სჩადის „სტრატეგიული მოსაზრებით“ და ცდილობს ამერიკის საბრძოლო ნაწილებს „უფრო მოსახერხებელი ტაქტიკური პოზიციები“ დაუკავებინოს.

ფოტოგიჟეტივი ამხილებს

ამერიკული „ფ-111“ ევროპაში

დიდი ბრიტანეთი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპის ტერიტორიაზე განალაგა 156 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი „ფ-111“. ამ თვითმფრინავს დიდ როლს ანიჭებენ ევროპის კონტინენტზე შეერთებული შტატების სამხედრო სტრატეგიაში.

სურათზე: „ფ-111“-ის აფრენა ლონდონის მახლობლად მდებარე დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან.

პრესინგბილდ-საკადესის ფოტო.

ფაქტის კომენტარი

საშიში თამაში

დიდ შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში ის, რომ იზრდება საშიში ტენდენციები ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა პეკინში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის ამსწინანდელი ვიზიტისა და იქ გამართული მოლაპარაკების დროს, აგრეთვე იმით, რომ ვაშინგტონმა გამოაცხადა გადაწყვეტილება ამერიკიდან ჩინეთს უფლება მისცეს შეიძინოს ამერიკის შეერთებულ შტატებში თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და ტექნოლოგია და მიიღოს იქ საამისოდ შეღავათიანი კრედიტები.

საქმე ეხება მშვიდობის საქმისათვის უაღრესად საშიშ ამერიკა-ჩინეთის გარიგებას, რომელიც უწინარეს ყოვლისა მოიცავს მთელ სამხედრო დარგს. პეკინისათვის ამერიკის იარაღის მიწოდების შესაძლებლობის საკითხი წინათაც დასმულა. ასეთი პერსპექტივა, რა თქმა უნდა, გულგრილს ვერ დატოვებდა ჩინეთის მეზობლებს. იცოდნენ რა ეს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს ბასული წლების მანძილზე არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ჩინეთი ამერიკის იარაღს ვერ მიიღებდა.

ვაშინგტონის გაუაზეთილება, ამრიგად, მიუშობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა ადმინისტრაციამ უარყო საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალური პრაქტიკა, წინანდელი ადმინისტრაციების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რამდენად უიმედოა იგი როგორც პარტნიორი საერთაშორისო ურთიერთობაში.

როგორც ამერიკის გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ წერს, ვაშინგტონის გადაწყვეტილება პეკინისათვის შეტევითი იარაღის მიყიდვის შესახებ „გააძლიერებს დაძაბულობას საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში და გამოიწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ევროპელ მოკავშირეთა ნერვიულობას ამერიკა-ჩინეთის სამხედრო ურთიერთობის გაფართოების გამო“.

ვაშინგტონი, როგორც ჩანს, იმედოვნებს, რომ, როგორც აქეზებს და აიარაღებს ჩინეთს, შეძლებს ახლანდელი პეკინელი ლიდერების მილიტარიზმი და ექსპანსიონიზმი თავისათვის სასურველი კალაპოტით წარმართოს, გამოიყენოს ისინი თავის გლობალურ ანტისაბჭოთა სტრატეგიაში. წინდაუხედაობა! საბჭოთა კავშირს ვერავინ ვერ დაიშინებს, იგი არ აჰყვება პროვოკაციებს, მას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი ხალხიც და თავისი მოკავშირეებიც.

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები არ ითვალისწინებს, რომ პეკინს ვაშინგტონთან ახლანდელი გარიგების დროს საკუთარი ინგარეზით მიზნები ამოძრავებს. უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, იგი ოცნებობს ერთმანეთს წაჰკიდოს შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, რათა იპარპაშოს მსოფლიოში ბირთვული კატასტროფის შემდეგ. ცხადია ისიც, რომ ამერიკული იარაღი ჩინელებმა შეიძლება გამოიყენონ უწინარეს ყოვლისა სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

სწორედ ეს რეალური საშიშრება მეტისმეტად კარგად იგრძნეს ამ რეგიონის ქვეყნებში. როგორც იაპონიის გაზეთი „იომიური“ წერს, პეკინთან დაახლოების ვაშინგტონისეულმა კურსმა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების დაპირებამ მომაკვდინებელი იარაღი მიაწოდოს ჩინეთს, დიდი შეშფოთება გამოიწვია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაციაში (ასეანში), რომელშიც შედიან ინდონეზია, ფილიპინები, მალაიზია, სინგაპური და ტაილანდი. ეს ქვეყნები სავსებით სამართლიანად შიშობენ, რომ ამერიკა-ჩინეთის მორიგების მოჰყვება პეკინის ახლანდელი ხელმძღვანელობის ჰეგემონისტური პოლიტიკის გაქტიურება, მათ საშინაო საქმეებში მისი ჩარევის გაძლიერება. (საკადესი).

● ეს საინტერესოა

ტგას „მკურნალოგენ“ თევზეგი

ძენევა. წყალმცენარეების სწრაფმა ზრდამ შვეიცარიის ერთერთ უღამაზეს ტბას — მოოზეის ჭაობად გადაქცევის საფრთხე შეუქმნა. ზედაპირული ფლორის სქელი ფენა მზის სხივებს აღარ აღწევს წყლის სიღრმეში და ტბას თანდათანობით „ხული შეეხუთა“. ეს, თავის მხრივ ანადგურებს თევზს, მიკროორგანიზმებსა და სახარგებლო მცენარეულობას.

შვეიცარიელმა მეცნიერმა-იქთიოლოგებმა გადაწყვიტეს ტბის ფაუნა და ფლორა გადაერჩინათ ბალახისმჭამელი თევზის — ამურის ჭანარის მეშვეობით. 1976 წელს გაშვებულმა 4 ათასმა ბალახისმჭამელმა ჭანარმა ტბა გაწმინდა. ისინი წელიწადში 200 ტონა სარეველას „მიირთმევდნენ“. ახალმოსახლეობა სახარგებლო აღმოჩნდა თვით ჭანარისთვისაც, რომლებმაც ამ ხნის განმავლობაში სწრაფად მოიმატეს წონაში და ახლა ყოველი მათგანი 6-10 კილოგრამს იწონის.

გადაწყდა, ბალახისმჭამელი ჭანარის მეშვეობით სარეველა წყალმცენარეების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის გამოცდილება შვეიცარიის სხვა წყალსატევებშიც გამოიყენონ.

● ეს საინტერესოა

ტგას „ბალტიკა“ ოქროს მედალი

ბერლინი. ბალტიკის ზღვის ფლოტის ტანმოვარჯიშეთა ანსამბლი „ბალტიკა“ ბერლინში ოქროს მედალი ერგო. ანსამბლი ბერლინში ჩავიდა ბალტიკისპირეთის ფლოტის ბაზიდან. ანსამბლის ბალეტმეისტერ ალ. ალექსანდროვის ინიციატივით ანსამბლის ბალეტმეისტრებმა, ბალერინებმა, ბალეტმოცეკვეებმა, ბალეტმოცეკვეებმა, ბალეტმოცეკვე

თათბირ-სემინარი

ზრთა გაზიარება წარმატების საწინდარია

სამუშაო ჯგუფების შეხვედრები შემოქმედებითს კოლექტივებთან

ს. ივლისს გაგრძელდა იდეოლოგიური მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მონაწილეთა შეხვედრები სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების, შემოქმედებითი კავშირების, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებზე ილაპარაკეს თბილისში გამართულ ზეიმზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში გამოთქმული მითითებების განხორციელების გზების შესახებ, გაიმართა საქმიანი აზრთა გაზიარება, დაინტერესებული ადამიანები ილაპარაკეს XXVI კონგრესისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის თა-

ბა.

...არქიტექტურა მნიშვნელოვან-
...განსაზღვრავს მატერიალ-
...გარემოს. იგი ზემოქმედებს
...ადამიანზე, მის აზროვნებაზე, ამ-
...ერებს სულიერ სამყაროს. ამა-
...ციდეს ერთხელ დავიწმუნდით
...ლისის რესტავრირებული ნა-
...ის მაგალითზე, — თქვეს **აფ-**
...თის ასს რესპუბლიკის წარ-
...მადგენლებმა — თათბირ-სემინ-
...ის მონაწილეებმა საქართველოს
...სახმშენისა და საქართველ-
...არქიტექტორთა კავშირის წარ-
...ადგენლებთან შეხვედრის დროს.
...საქართველოს სსრ სახმშენის
...მმართველობის მოადგილემ თ. ქუ-
...ლაძემ სტუმრებს გააცნო
...მშენის ამოცანები და ფუნქცი-
...ა. აღნიშნა მათ, რომ კომიტე-
...ი განახორციელა მსხვილპანე-
...ლის საცხოვრებელი სახლების
...პროექტების სრულყოფის, არ-
...ქიტექტურულ-დაგეგმარებითი გა-
...წყვეტების გაუმჯობესების მთე-
...ური ღონისძიებანი. შეხვე-
...ზე დაწვრილებით ილაპარაკ-
...ა აფხაზეთის სსს რესპუბლიკის
...ფლებისა და დასახლებული პუ-
...ტების დაგეგმვის, ავტონომი-
...ი რესპუბლიკაში საბინაო მშე-
...ებლობის შესახებ.

...ზრის გამომხატველი სიტყვები
...ალდზე დაიწერა და მილი-
...ობით მკითხველის კუთვნილება
...ხდა. მწერლის შემოქმედებად
...ებული ამ პროცესის შე-
...ბები აღელვებს უდიდეს აუ-
...ტორიას, დიდ გავლენას ახდენს
...ამიანის ზნეობრივ, მორალურ
...ლიტიკურ ჩამოყალიბებაზე.

...თანამედროვე ცხოვრებაში მხა-
...ვრული ლიტერატურის დიდმნი-
...ნელოვანი აღმზრდელობითი
...ოლის შესახებ ილაპარაკეს **აკა-**
...ს ასს რესპუბლიკის დელეგა-
...ასთან საუბრის დროს საქართ-
...ლოს მწერალთა კავშირში. სტუ-
...ებმა წინაშე გამოვიდნენ რეს-
...ბლიკის მწერალთა კავშირის
...ამეობის მდივნები რ. მამინო-
...�o, ჯ. ჩარკვიანი და გ. ციცი-
...ეი, გამომცემლობა „საბჭოთა
...ქართველოს“ დირექტორი გ. ფა-
...ციკიე. მათ აღნიშნეს, თუ რა
...ი როლი განეკუთვნება მხატ-
...ვრულ სიტყვას პარტიისა და სახ-
...ელმწიფოს პოლიტიკის განხორციე-
...ლებაში და მეზნებარედ, დაინტ-
...რესებით ილაპარაკეს ხალხის წი-
...�ელ მწერლის პასუხისმგებლო-
...ბაზე, ნაწარმოებების, გაზეთებსა
...და ჟურნალებში გამოქვეყნებული
...ტექსტების, პუბლიცისტ ი კ ი
...ამოსვლების იდეური და მხატვრ-
...ული დონის პრობლემებზე. შეხ-
...ვედრის მასპინძლების, ავტონომი-
...ური რესპუბლიკის მწერალთა ორ-
...განიზაციისა და პარტიული აქტ-
...ივის წარმომადგენლების აზრთა
...გაზიარების დროს გამოითქვა
...თული რიგი წინადადებანი და რე-
...კომენდაციები მკითხველთა აუ-
...დიტორიიზე იდეოლოგიური ზე-
...მოქმედების ეფექტიანობის ამა-
...ღლების შესახებ.

„ახალ მკაფიო ნაწარმოებებს ვე-
...ლით სამხრეთ ოსეთის მწერლ-
...ებისგან. ეკრანზე სიამოვნებით ავ-
...სახავთ თქვენი მშვენიერი მხარის
...თანამედროვე მუშათა კლასისა და
...მშრომელი გლეხობის ცხოვრებას“.
...ეს სიტყვები თქვა **სამხრეთ ოსეთ-**
...ის დელეგაციასთან კინოსტუდია
„ქართული ფილმის“ მუშაკთა
შეხვედრის დროს.

ქართველმა კინემატოგრაფისტ-
ებმა წარმატებით იმუშავეს ოსურ
თემატიკაზე. მაყურებელთა შორის
დამახსოვრებული წარმატება ჰქო-
ნდა ფილმებს „ფატიმას“ და „ჩე-
რმენს“, სტუდიის რეჟისორები
ბაზე არიან განაგრძონ თანამშ-
რომლობა ავტონომიური ოლქის
შემოქმედებითს ინტელიგენციას-
თან.

სტუმრებს აცნობეს, რომ ერთ
წელიწადში სტუდია თორმეტ
ფილმს უშვებს. უკანასკნელი რა-
მდენიმე წლის მანძილზე ქართულ
ოსტატთა კინოფილმები ძა-
ლზე ხშირად იმარჯვებენ საკავ-
ო და საერთაშორისო კინკურ-
სებში. მიმდინარე წლის აღსანიშ-
ნავ ფილმებს შორისაა კინოსუ-
ბეთი „შობლიურო ჩემო მიწავ“,
რომელიც ეკრანზე გამოვიდა სკკ
XXVI ყრილობის მუშაობის დღე-
ებში.

ბულითადმა მასპინძლებმა პასუ-
ხი გასცეს სამხრეთ ოსეთის დე-
ლეგაციის წევრთა მრავალრიცხო-
ვან შეკითხვებს.

ახალი შეხვედრებისა და აღმო-
ჩენების სიხარულს მიანიჭებენ ვე-
ნის, ბელგრადის, პარიზის მცხო-
ვრებლებს ქართული ხელოვნების
გამოფენის ექსპონატები უძველეს
დროიდან დღემდე. ეს ვერნი-
საჟები მიმდინარე წლის დამლ-
ევს გაიხსნება და ახალ ფურცელს
ჩაწერს საქართველოსა და საზ-
ღვარგარეთის ქვეყნების ხელოვ-
ნების მოღვაწეთა თანამეგობრო-
ბის მატიანეში. აი კიდევ ერთი
სასიხარულო სიახლე: ნიცაში იხ-
სნება პრიმატიციესთა გამოფე-
ნა-მუზეუმი. მუზეუმის ორგანი-
ზატორებმა გადაწყვიტეს გახს-
ნან იგი თვითნასწავლი მხატვრ-
ის ფიროსმანის ნამუშევრების
ექსპონიციით. ეს ფაქტები, კერ-
ძოდ, დაასახელეს იდეოლოგი-
ურ მუშაკთა შეხვედრაზე **თბილი-**
სის ლენინის რაიონის, ქალაქების
ქუთაისის, ტყიბულის, ახალციხის
კასპის, ახმეტის და მცხეთის რა-
ონების იდეოლოგიურ მუშაკებ-
თან შეხვედრაზე რესპუბლიკის
თეატრალურ საზოგადოებაში.

— ამგვარი გამოფენების მოწ-
ყობა, — თქვა რესპუბლიკის კულ-
ტურის მინისტრის პირველმა
მოადგილემ ნ. გურაბანიძემ, —
მოწმობს ქართული ხელოვნების
მსოფლიო აღიარებას. მისი ახლა-
ნდელი აყვავება შესაძლებელი
გახდა მხოლოდ ჩვენს სოციალ-
ისტურ საზოგადოებაში, სადაც
ყოველმხრივი ყურადღება ეთმო-
ბა პიროვნების ჰარმონიულ გა-
ნვითარებას. ეს ფაქტი იდეოლოგ-
იური ფრონტის მუშაკებისათვის
პრობაგანდის მძლავრი იარაღი უნ-
და გახდეს.

გახსოვთ ა. პ. ჩეხოვის სიტყვე-
ბი? „ადამიანში ყველაფერი მშვე-
ნიერი უნდა იყოს — სახეც, ტან-
საცმელიც, სულიც, აზრებიც“.
ადამიანის გამაკეთილშობილებელი
თვისებები თავისთავად როდი უა-
ლიბდება. მოზარდებისათვის ამ
თვისებების ჩანერგვაში დიდმნი-
შვნელოვანი როლი ეკუთვნის სკო-
ლას.

იმის შესახებ, თუ სწავლების
რა საშუალებები და მეთოდები
აქვს საქართველოს ოთხი ათას სკო-
ლას, აგრეთვე სასწავლებლებში
აღმზრდელობითი მუშაობის შემდ-
გომი სრულყოფის აუცილებლობა-
ზე იმსჯელეს შეხვედრის დროს,
რომელიც გაიმართა **ქალაქ თბილი-**
სის პირველი მაისის რაიონის, ქალაქ
გორის, გორისა და აბაშის რაიონე-
ბის იდეოლოგიურ მუშაკებსა და
საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს, გაზეთ „სახალხო გა-
ნათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა
და ცხოვრების“ რედაქციების წარ-
მომადგენლებს შორის.. შეხვედ-
რაზე განახილეს სკოლების მატე-
რიალურ-ტექნიკური ბაზის შემდ-
გომი გაუმჯობესების, მოსწავლ-
ეთა შრომითი აღზრდის განვითა-
რების, სახელმძღვანელოებითა
და თვალსაჩინოებებით მათი უზ-
რუნველყოფის პრობლემები. საუ-
ბრის მონაწილეებმა დაგმეს რე-
პეტიტორობის პრაქტიკა და სასკ-
ოლო ცხოვრების სხვა ნეგატიური
მოვლენები.

დიდი ინტერესი გამოიწვია პარ-
ტიის გორის რაიკომის მუშაობის
გამოცდილებამ, რომელიც სკოლ-
ებისადმი ხელმძღვანელობის თა-
ვის საქმიანობაში ეყრდნობა რა-
იკომთან არსებულ შრომელთა სა-
ბჭოს. ამ საბჭოს მუშვებობი
მყარდება მჭიდრო კონტაქტი
ოჯახსა და სკოლას შორის. გა-
დაწყვეტილია ეს გამოცდილება
რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც
გავრცელდეს.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო
მეტი ახალგაზრდა ეუფლება მუ-
შურ სპეციალობებს პროფესიულ-
ტექნიკურ სასწავლებლებში. ეს
გასაგებიცაა. რადგან ახლა მო-
ზარდმა იცის: თუ გადაწყვიტე
გახდე ნამდვილი ხელმარჯვე მუ-
შა, რომელსაც შეუძლია თანამ-
ედროვე ტექნიკის მართვა,
არჩეულ საქმეს პროფტექ-
ნიკურ სასწავლებელში უნდა და-
ეუფლო. საზოგადოებრივი ყურა-
ღღების მკვეთრი შემობრუნება ამ
სასწავლებლებისაკენ, რომელიც
უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა,
კვალიფიციური მუშების მომზად-
ებისათვის პარტიისა და მთავ-
ორობის ზრუნვის შედეგია. ქალ-
ქისა და სოფლის თითოეული იდე-
ოლოგიური მუშაკის პირდაპირი
ვალია ხელი შეუწყოს პროფესი-
ულ-ტექნიკური სასწავლებლების
ავტორიტეტის ამაღლებას, გააძ-
ლიეროს მათი როლი ახალგაზრ-
დობის შრომითს ჩამოყალიბებაში,
დაეხმაროს ახალგაზრდობას მასობ-
რივი პროფესიების არჩევაში.
ასეთი ერთსულოვანი დასკვნა გა-
მოიტანეს საქართველოს სსრ
პროფესიულ-ტექნიკური განათ-
ლების სახელმწიფო კომიტეტის
კოლეგიტიისა და **ქალაქ ზუგდიდის,**
ზუგდიდისა და ადიგენის რაიონებ-
ის იდეოლოგიური მუშაკების შე-
ხვედრის მონაწილეებმა.

— ჩვენი მეცადინეობა მიზანს
მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწ-
ევს, — თქვა ქალაქ **ფოთის, ვა-**
ნის, გურჯაანის რაიონებისა და
ქალაქ თბილისის კალინინის რაი-
ონის იდეოლოგიურ მუშაკებთან
ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპ-
ერისა და ბალეტის აკადემიურ
თეატრში გაშაართულ შეხვედრაზე
საქართველოს სსრ კულტურის მი-
ნისტრის პირველმა მოადგილემ
ი. გამრეკელმა, — თუ ადგილებ-
ზე იზრუნებენ ხელოვნების მეშ-
ვეობით მშრომელთა კულტურის
განვითარებისათვის, ესთეტიკურ-
ი აღზრდისათვის, მათი სულიერ-
ი და მორალური სახის ჩამ-
ოყალიბებისათვის. რ ე ს პ უ ბ-
ლიკის ისეთი რაიონების მაგალ-
ითი, როგორიც არის საგარეჯოს,
გურჯაანის, თერჯოლის, ცხაკაიას
რაიონები, სადაც ისტორიული
ძეგლებისადმი შეფობა ტრადიც-
იად იქცა, სადაც ზრუნავენ ხალ-
ხური შემოქმედებისა და რეწვის
განვითარებისათვის, გვიჩვენებს,
რომ კულტურა იწყებს სწრაფ გა-
ნვითარებას, მოიცავს მოსახლეობ-
ის ფართო ფენებს.

განსაკუთრებით ბევრი რამის
გაკეთება შეუძლიათ თანამედრ-
ოვე ქართული სოფლის კულ-
ტურის განვითარებისათვის ეკ-
ონომიკურად ძლიერ კოლმეურნ-
ეობებს, საბჭოთა მეურნეობებს,
დაწესებულებებსა და ორგანიზა-
ციებს.

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტ-
ის მეცნიერების მიერ შემუშა-
ვებული პრაქტიკული რეკომენდ-
აციები მნიშვნელოვანწილად და-
ეხმარება რესპუბლიკის მაღალი
მთის რაიონების მშრომელებს წარ-
მატებით გადაწყვიტონ მეთერ-
მეტე ხუთწლედში საკვებწარ-
მოების ბაზის შემდგომი განმტ-
კიცების და, მაშასადამე, საზოგა-
დოებრივი მეცხოველეობის გა-
ნვითარების პასუხსაგები ამოცანე-
ბი.

ეს ითქვა ქართული მეცნიერებ-
ის შტაბში **ქალაქ თბილისის 26**
კომისარის რაიონის, ქალაქ რუსთ-
ავის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის,
წალკის რაიონების იდეოლოგიურ
მუშაკებთან მეცნიერთა შეხვედ-
რაზე.

რესპუბლიკის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარა-
ძე სტუმრებს ესაუბრა მეცნიე-
რული კვლევის სისტემის ორგანი-
ზაციის, დიდი სახალხო-სამეურ-
ნეო მნიშვნელობის მქონე თე-
ორიული და პრაქტიკული პრობ-
ლემების, აქტუალური საკითხების
შემუშავების შესახებ. **იმაზე, თუ**
რა ღონისძიებებს ახორციელ-
ებენ მეცნიერულ-ტექნიკური პრო-
გრესის ტემპის დასაჩქარებლად,
სოციალური განვითარების პრო-
ბლემების გადაწყვეტაში საზო-
გადოებრივ მეცნიერებათა როლ-
ის ასამაღლებლად.

მეცნიერებმა ილაპარაკეს იმ
გამოკვლევებზე ფიზიკის, მედიცი-
ნის, გეოგრაფიის, წარმოების ავ-
ტომატიზაციის დარგში, რომლებიც
ფართოდაა აღიარებული ჩვენს
ქვეყანასა და საზღვარგარეთ, იმ-
აზე, თუ როგორ ახორციელებ-
ენ ქართული მეცნიერების მო-
ღვაწენი **XXVI** ყრილობისა
და **საქართველოს კომპარტიის**
XXVI ყრილობის გადაწყვეტილებ-
ებს.

რაც უფრო დიდია სიძნელეები,
რაც უფრო ძნელია წარმატების
მიღწევა, მით უფრო მნიშვნელოვა-
ნი და სასიხარულოა გამარჯვება.
ეს კარგად იციან რესპუბლიკის
დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე
ახალგაზრდა რაიონის — საქართნო
რაიონის კომუნისტებმა. იგი სულ
რვა წლისაა, არადა, მუდამ ლიდერ-
რობს საერთო საქალაქო სოციალ-
ისტურ შეჯიბრებაში. აგერ უკვე
ზედიზედ ექვსი წელია აქ არ არის
ჩამორჩენილი საწარმო, ათობით
შრომითი კოლექტივი წარმატებით
იბრძვის, რათა მშობლიური ქარხა-
ნა თუ ფაბრიკა საუკეთესო გახდ-
ოს რაიონში, ქალაქში, რესპუბ-
ლიკაში, დარგში.

და წარმატების მიღწევა შეუძ-
ლებელი იქნებოდა, რომ არა კარ-
გად ორგანიზებული, მიზანსწმამარ-
თული, უკომპრომისო ბრძოლა ნე-
გატიური მოვლენების წინააღმდეგ,
რომელიც გაშლილია თბილისის ამ
ინდუსტრიულ რაიონში.

დღეს საქართნო რაიონის მშრო-
მელთა გამოცდილების გასაცნობად
შორიდან ჩამოდიან და მიაქვთ აქე-
დან ჩანაწერებით სავსე ბლოკნო-
ტები, ცოცხალი შთაბეჭდილებანი.
ბევრი ჩანაწერი გაჩნდა სუმნარის
იმ მონაწილეთა ბლოკნოტებშიც,
რომელიც ჩამოვიდნენ **ხაჩხერის,**
ორჯონიკიძის, ხობის, სამტრედიის,
ბორჯომის, მახარაძის რაიონები-
დან, ჭიათურიდან. ისინი ეწვივნენ
პარტიის საქართნო რაიკომს, გაიც-
ნენ ნეგატიური მოვლენების წი-
ნააღმდეგ ბრძოლის კომისიის. მუ-
შაობას. საქართველოს რაიონები-
დან და მაღაროელთა ქალაქიდან
ჩამოსულ იდეოლოგიურ მუშაკთა
დიდი ინტერესი გამოიწვია სამრე-
წველო საწარმოთა, მშრომელების
რეკომენდაციებით მუშაკთა ხელმ-
ძღვანელ თანამდებობებზე დაწი-
ნაურების პრაქტიკამ, ახალ ხელმ-
ძღვანელთა სისტემატურმა ანგარი-
შებმა თავიანთი კოლექტივების წი-
ნაშე.

სტუმართ ესაუბრა პარტიის საქ-
ართნო რაიკომის პირველი მდივა-
ნი რ. გოგლიძე, რომელმაც აღნიშ-
ნა, რომ ნეგატიური მოვლენების
წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების
ერთ-ერთი ძირითადი პირობა გახ-
და სოციალური გარდაქმნების
ვრცელი პროგრამა. ახლა რაიონის
ტერიტორიაზე მდებარე ყოვე-
ლი საზოგადოებრივ-საცხოვრებე-
ლი მასივი უზრუნველყოფილია
ყველაფრით, რაც საჭიროა ადამი-
ანთა მუშაობის, ცხოვრებისა და
დასვენებისათვის. პროდუქციის
წარმოების ეფექტიანობისა და ხა-
რისხის ამაღლებისათვის დაძაბულ-
მა მუშაობამ უზრუნველყო შრო-
მის დიდი ნაყოფიერებაც და მო-
გებაც. დღეს რაიონის მშრომელთა
ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე დი-
დია რესპუბლიკის დედაქალაქში.

თათბირ-სემინარის მონაწილეები
იყვნენ თბილისის რძის მრეწვე-
ლობის საწარმოო გაერთიანებაში,
გაეცნენ ნეგატიური მოვლენების
წინააღმდეგ ბრძოლის აქტური კო-
მისიის მუშაობის მეთოდებს.

თბილისის კიროკის რაიონის კო-
მუნისტთა იდეოლოგიური მუშაო-
ბის გამოცდილება შეისწავლეს **ქა-**
რელის, ლენინების, თელავის, ახ-
მეტის, მცხეთის რაიონებისა და
ქალაქ ტყიბულის ზონიდან ჩამო-
სულმა თათბირ-სემინარის მონაწი-
ლეებმა.

ჩვენს რაიონს დიდი ხნის ინტე-
რნაციონალური ტრადიციები აქვს,
— თქვა პარტიის რაიკომის პირვე-
ლმა მდივანმა ა. ლომიძემ, — მის
ტერიტორიაზე ათობით ეროვნების
წარმომადგენელი ცხოვრობს. ამ-
ტომ ინტერნაციონალური აღზრ-
დის პრობლემას უდიდეს მნიშვნე-
ლობას ვანიჭებთ. რაიონის საწა-
რმოებში უკვე ტრადიციად იქცა
ინტერნაციონალური ბრიგადების
შექმნა.

რაიონის მშრომელთა იდეურ-
პოლიტიკური, შრომითი და ზნეობ-
რივი აღზრდის საქმეს ათასზე მეტ-
ი აგიტატორი, ასობით პოლიტინ-
ფორმატორი და საზოგადოება
„ცოდნის“ წევრი ემსახურება.

— პარტიის კიროვის რაიკომის
მუშაობის გაცნობა, — თქვა საქა-
რთველოს კომპარტიის თელავის
რაიკომის მდივანმა დ. აბაშიძემ,—
დაეხმარება ჩვენი სასოფლო რაი-
ონის იდეოლოგიური ფრონტის
მუშაკებს დანერგონ პოლიტიდმზ-
რდელობითი მუშაობის ახალი ფო-
რმები და მეთოდები, კერძოდ, გა-
დავიღებთ ინტერნაციონალური
კლუბების შექმნის გამოცდილებას.
ეს მით უფრო მნიშვნელოვანია,
რომ თელავის რაიონის მოსახლე-
ობაც მრავალეროვანია. ჩვენს სკო-
ლებსა და სახალხო უნივერსიტეტ-
ებშიც სხვადასხვა ეროვნების წა-
რმომადგენელი მსმენელები გვყავს.

სტუმრები შეხვდნენ თბილისის
ელექტრომექანიკური ქარხნის კო-
ლექტივს.

გლდანის რაიონის ათასობით ბა-
ვშვი ვარჯიშობს აქ აგებული დიდი
სპორტული კომპლექსის სექციებ-
ში. ამ ახალმშენებლობის დათვა-
ლიერებით დაიწყეს თბილისის ყვე-
ლაზე ახალგაზრდა რაიონის გაც-
ნობა **ამბროლაურის, ხაგარეჯოსა**
და ხაშურის რაიონების იდეოლო-
გიურ მუშაკთა წარმომადგენლებ-
მა.

გლდანის რაიონში დაახლოებით
120 ათასი კაცი ცხოვრობს. აქ ცა-
მეტი საშუალო სკოლაა — ქართუ-
ლი, რუსული, სომხური, არის ახა-
ლი სახელმწიფო ქართული დრამა-
ტული თეატრი, კინოთეატრი,
პროფტექნიკური სასწავლებელი,
ტექნიკუმი, ოცდაათამდე საბავშვო
ბაღი. თბილისის ტრიკოტაჟის საცვ-
ლის საწარმოო გაერთიანებაში 6
ათასი კაცი მუშაობს. რაიონის მო-
სახლეობა კვლავაც იმატებს. უკვე
ათი წლის შემდეგ მისი რიცხვი
ორასი ათასს მიაღწევს. გლდანის
რაიონის სოციალური და ეკონომი-
კური განვითარების პერსპექტივე-
ბი, იდეოლოგიური მუშაობის ფო-
რმები და მეთოდები, მოზარდი თა-
ობის აღზრდაში რაიონის პარტიუ-
ლი ორგანიზაციის გადასაწყვეტი
პრობლემები სტუმრებს გააცნო პა-
რტიის გლდანის რაიკომის პირვე-
ლმა მდივანმა ო. ხიზანიშვილმა.

თათბირ-სემინარის მონაწილეები
იყვნენ ახალშენებლობებზე, მათ
დაათვალიერეს ექსპერიმენტული
საცხოვრებელი სახლები, რომლე-
ბიც აშენებულია მომავალ მობი-
ნადრეთა მაქსიმალური კომფორ-
ტის გათვალისწინებით.

სტუმრები იყვნენ კონიაკის ქარ-
ხანაში, ტრიკოტაჟის საცვლის სა-
წარმოო გაერთიანებაში, დაინტე-
რესდნენ მუშების შრომის პირობ-
ებით, ესაუბრნენ საწარმოთა ხელ-
მძღვანელებს.

თბილისში გამართულ საიუბილ-
ეო ზეიმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟ-
ნევმა აღნიშნა, რომ საქართველოს
კომპარტიის ცენტრალურმა კომი-
ტეტმა გამოძებნა სწორი ტონი კულ-
ტურის ოსტატებთან მუშაობაში,
ეხმარება მათ, აქტიურად უწყობს
ხელს მათს შემოქმედებითს ძიებას.

პარტიის კალინინის რაიკომს შე-
მოქმედებითს ინტელიგენციასთან
მუშაობის კარგი ტრადიციები აქვს.
რაიკომის ბიუროზე, გამსვლელ
სხდომებზე, საქართველოს შემოქ-
მედებითი კავშირების გამგეობათა
სხდომებზე განიხილება მწერლე-
ბის, მხატვრებისა და არქიტექტო-
რების ახალი ნაწარმოებები.

რაიონის კომუნისტების ინიცია-
ტივით საქართველოს მეცნიერება-
თა აკადემიის შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურ-
ის ისტორიის ინსტიტუტში შეიქ-
მნა თანამედროვე ლიტერატურის
მიმართულებათა შემსწავლელი გა-
ნყოფილება, რომელიც ქართველი
მწერლებისა და პოეტების ახალი
ნაწარმოებების რეცენზირებას ეწე-
ვა.

ქალაქ ფოთის, ვანის, გურჯაანის,
ბოლნისის, გარდაბანის, დმანისის,
მარნეულის რაიონების წარმომად-
გენლებთან შეხვედრის დროს ამის
შესახებ ილაპარაკა პარტიის კალი-
ნინის რაიკომის პირველმა მდივან-
მა ა. საყვარელიძემ.

სტუმრები ეწვივნენ საქართველ-
ოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელ-
მწიფო მუზეუმს, დაათვალიერეს
იმპრესიონისტების ნამუშევართა
გამოფენა საქართველოს ხელოვნე-
ბის მუზეუმში.

პოლიტიკური განათლების სის-
ტემის მუშაობის გაუმჯობესების
საკითხებს მიეძღვნა სემინარის „მო-
ნაწილეთა შეხვედრა პარტიის თბი-
ლისის ორჯონიკიძის რაიკომის აქ-
ტივთან. შეხვედრაში მონაწილეო-
ბდნენ **ქალაქ წყალტუბოს, წითელ-**
წყაროს, მესტიის, მაიაკოვსკის, თე-
რჯოლის, ცხაკაიასა და სიღნაღის
რაიონების დელეგაციათა წევრები.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის
პირველმა მდივანმა ნ. ლაღიძემ
სტუმრებს გააცნო, თუ როგორია
პარტიული და იდეოლოგიური მუ-
შაობის სპეციფიკა რაიონში, სადაც
თავმოყრილია რესპუბლიკის უმა-
ღლესი სასწავლებლების, მეთაური
საპროექტო და სამეცნიერო-კვლევ-
ითი ინსტიტუტების მეტი ნაწილი.

ამავე დღეს სტუმრები იყვნენ
საქართველოს მეცნიერებათა აკა-
დემიის კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტში და თბი-
ლისის საშენ მასალათა კომბინატ-
ში.

— ძნელია გადაჭარბებით შეაფ-
ასო ამგვარი შეხვედრების მნიშ-
ვნელობა, — თავისი შთაბეჭდილე-
ბა გაგვიზიარა პარტიის მესტიის
რაიკომის მდივანმა ნ. ფალიანმა.
— ვფიქრობ, საერთო აზრს გამო-
ვხატავ, თუ ვიტყვი, რომ კოლეგებ-
თან შეხვედრები გვამდიდრებს
მოწონივე გამოცდილებით, გვეხმა-
ურება იდეოლოგიური მუშაობის
ამა თუ იმ ამოცანების გადაწყვეტ-
ისათვის ზოგადი კრიტერიუმების
შემოწმებაშიც. კერძოდ, ჩამთვის
ძალზე საინტერესო აღმოჩნდა პო-
ლიტგანათლების ისეთი ახალი ფო-
რმის გაცნობა, როგორიც არის
კომპანირებული სემინარები. სე-
მინარებში გაერთიანებული მომა-
ჯავე, ერთნაირი პროფილის და-
წესებულებებისა და საწარმოების
მუშაკები უთუოდ უფრო მეტ შე-
ხვედრს წერტილებს პოულობენ და
მეცადინეობებსაც მეტი კონკრეტუ-
ლი სარგებლობა მოაქვს, შესაძლ-
ებელს ხდის პრაქტიკული ამოცანე-
ბის გადაწყვეტას.

№ ჯარის ნაწილის ლენინური
თაობის ექსპოზიციებს შეავსებს
საბჭოთა ხელისუფლების პირვე-
ლი დეკრეტების, ვ. ი. ლენინის წე-
რილების, დიდი სამამულო ომის
პერიოდის დოკუმენტების ფოტო-
პირები. ეს ფოტოპირები თბილი-
სის 37-ე საშუალო სკოლის სახმ-
ძოლო დიდების მუზეუმისაგან სა-
ჩუქრად მიიღო ამ ნაწილის პოლ-
იტმუშაკმა კაპიტანმა ვ. დიონკინმა
— იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუ-
ბლიკური თათბირ-სემინარის ერთ-
ერთმა მონაწილემ, **ქალაქ ზუგდ-**
დიდან, ადიგენის, ზუგდიდის, გე-
გეჭკორის, ლაგოდეხის, თეთრი-
წყაროს და წულუკიძის რაიონები-
დან ჩამოსულ დელეგაციათა წევ-
რები იყვნენ ამ სასწავლებელში,
რომ ცნობიდნენ მოსახლეობის
სამხედრო-პატრიოტული აღზრდ-
ისათვის მუშაობის გამოცდილებას
თბილისის ოქტომბრის რაიონში.

პარტიის რაიკომის პირველმა
მდივანმა ა. აზიროვმა შეკრებილთ
გააცნო კავშირურთიერთობა პირ-
ველადს პარტიულ ორგანიზაციებ-
თან, მუშაობა ნაკლოვანებების აღ-
მოსაფხვრელად, იდეოლოგიური
მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებ-
ის გეგმები.

სამხედრო-პატრიოტული აღზრ-
დის წარმატებას ამ რაიონში, ხაზ-
გასმით აღინიშნა შეხვედრაზე, ხელს
უწყობს ზუსტი დაგეგმვა, მჭიდრო
კონტაქტები პარტიის, სამოქალაქო
და დიდი სამამულო ომების ვეტერ-
ანებთან, მრავალრიცხოვანი ის-
ტორიული, რევოლუციური ძეგლე-
ბის, მუზეუმების, მათ შორის სა-
შუალო სკოლებში შექმნილი მუზეუ-
მების გამოყენება. თათბირ-სემი-
ნარის მონაწილენი ეწვივნენ სწო-
რედ ერთ-ერთ ასეთ სკოლას, რომ-
ლის მუზეუმმა რამდენიმე წლის
წინათ მიიღო სკკ ცენტრალური
კომიტეტის გენერალური მდივნის,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამ-
ხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმე-
ბელი წერილი.

(საქინფორმი).

მოქმედების საბრძოლო პროგრამა

თბილისში გამართულ ზეიმზე
ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვ-
ლების მიხედვით აჭარის საო-
ლქო პარტიული ორგანიზაციის
გადაუდებელი ამოცანები განიხი-
ლა საქართველოს კომპარტიის
აჭარის საოლქო კომიტეტის პლე-
ნუმმა.

მომხსენებელმა, საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კო-
მიტეტის ბიუროს წევრობის კა-
ნდიდატმა, საქართველოს კომპა-
რტიის აჭარის საოლქო კომიტეტ-
ის პირველმა მდივანმა ვ. რ. პა-
პუნიძემ და კამათის მონაწილეებმა
უაზლოესი პერსპექტივის ამოცა-
ნები განიხილეს ამ საპროგრამო
გამოსვლების მიხედვით და უფ-
რადღება მიაპყრეს ხარვეზებსა
და ნაკლოვანებებს, ილაპარაკეს
შემდგომი წინსვლისათვის მათი
უსწრაფესად აღმოფხვრის გზებ-
ზე.

დღის მოთხოვნები, აღინიშნა
პლენუმზე, გვაიძულებს გამოვ-
ნახოთ და განვავრცოთ ეკო-
ნომიკური პოტენციალის დინამი-
კური ხრდის გზები. მრეწველ-
ობაში უფრო მეტად უნდა განვა-
ვითაროთ სასოფლო-სამეურნეო
ნედლეულის გადამამუშავებელი
დარგები. განსაკუთრებით ჩაისა
და კონსერვის წარმოება. შეზღ-
უდული ტერიტორიის გამო, რო-
გორც ბათუმში, ასევე აჭარის
სასოფლო რაიონებში კიდევ უფ-
რო მეტად უნდა ვიზრუნოთ მო-
ქმედი საწარმოების რეკონსტრუ-
ქციის, ტექნიკური განახლების,
არსებული სიმძლავრეების ინ-
ტენსიური გამოყენებისათვის.
ანალიზი გვიჩვენებს, რომ საწარ-
მოო სიმძლავრეების გამოყენების
საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა
1980 წელს აჭარის ასს რესპუბლი-
კაში მხოლოდ 79,5 პროცენტი
შეადგინა. რეზერვი ბევრია და
იგი მთლიანად რომ ავამოქმედოთ,
საჭიროა ბეჯითად ვიმუშაოთ .მუ-
შების კვალიფიკაციის ამაღლების,
მომიჯნავე პროფესიების ათვისე-
ბისათვის. მკვეთრად უნდა გა-
ვადიდოთ ფონდუკუდგება, გავზარ-
დოთ მოწყობილობის მწარმოებ-
ლობა, პროდუქციის ანარმი
ერთ კვადრატულ მეტრ საწარ-
მოო ფართობზე. ბათუმელი
მანქანათმშენებლების ეს კარგი
თაოსნობა კიდევ უფრო უნდა გა-
ძლიერდეს.

მშენებლობაში დაძაბულ მდგო-
მარეობას როცა შეეხნენ, პლენ-
უმის მონაწილეებმა მკაცრად გა-
აკრიტიკეს საქართველოს სსრ
მშენებლობის სამინისტროს № 5
საერთო-სამშენებლო ტრესტისა
და ბათუმის სახლთსაშენებელი
კომბინატის ხელმძღვანელები. იმ-
ის გამო, რომ სისტემატურად ვერ
ითვისებენ საბინაო მშენებლობის
თანხებს, ბათუმში ნელა წყდება
მნიშვნელოვანი სოციალური პრო-
ბლემა — ბარაკების დანგრევა
და სარდაფის სათავსების დაცლა.
ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა ავ-
ტონომიური რესპუბლიკის სამშე-
ნებლო ინფუსტრიის ტექნიკური
განახლება.

უაზლოესი წლებისათვის აჭარის
სოფლის მეურნეობის მშრომელ-
თა მოქმედების პროგრამამს საფუ-
ძვლად უდევს თბილისში გამა-
რთული ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრე-
ჟნევის გამოსვლები და საქარ-
თველოს კომპარტიის ცენტრალ-
ური კომიტეტის მესამე პლენუმ-
ის გადაწყვეტილებები.

ახალი ამოცანების შესაბამისად
დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს
მეცხოველეობას. უნდა გავაძლ-
ეროთ ბრძ

ზღვასთან ჭიდილში

საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების „საქთევზმრეწვის“ (უფროსი ზ. ბოლქვაძე) მრავალთანაანი კოლექტივი ღირსეულად ხვდება თავის ტრადიციულ დღესასწაულს — მებადურის დღეს. მებადურის რომანტიკული პროფესია ზღვაში უამრავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ყოველგვარ ამინდში თევზის მიძღვევა და რეწვა ადვილი როდია, ეს ცოდნასა და დიდ გამოცდილებას მოითხოვს.

თევზისჭერას, მის დროულად გადამუშავებას და მომხმარებლისათვის მიწოდებას ახლა პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი კარგად დაიწყო ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს კოლექტივმა. აქაურმა მებადურებმა ნახევარი წლის გეგმა დროულად შეასრულეს. თავი გამოიჩინა სუპერტრაულერის „ჰმეტის“ ეკიპაჟმა (კაპიტანი გ. კიშნიაკინი). კარგა ხანია ზღვას დაუკავშირა ბედი ბათუმელმა მებადურმა, სეინერ-1151-ის კაპიტანმა გ. უკლებამ. მისი ეკიპაჟი ერთ-ერთი საუკეთესოა სამმართველოში. კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ბათუმის კოლმეურნეობის სეინერ-189-ის კოლექტივს, რომელსაც კ. კარაპეტიანი ხელმძღვანელობს.

გასულ წლებთან შედარებით წელიწადს თევზისჭერა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამას ხელი შეუწყო ახალი ტიპის გემების ამოქმედებამ, „საქთევზმრეწვის“ კოლექტივმა თორმეტი ასეთი ტრალერი მიიღო, რომლებიც წინამორბედებისგან იმით განსხვავდებიან, რომ რეწვა წლის ყოველ დროს შეუძლიათ. ეს გემები ახლა წლის მეორე ნახევრის დავალებების შესასრულებლად იბრძვიან, თევზჭერასთან ერთად მის გადამუშავებასაც აწარმოებენ, და დღეში 2-4 ათას ცალ კონსერვს ამზადებენ. მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე ეს ციფრი საგრძნობლად გაიზრდება.

თავდადებით შრომობენ და კარგ შედეგსაც აღწევენ ბათუმის,„ სოხუმის, ფოთის თევზის გადასამუშავებელი ქარხნების კოლექტივები, რასაც ხელს უწყობს ახალი, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა. სწორედ ამის შედეგია, რომ ზემოთ ხსენებულმა საწარმოებმა პროდუქციის გამოშვება სამჯერ გაზარდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების თანახმად მიმდინარე ხუთწლედში ახალი მებადურთა დაბები გაშენდება ბათუმში, მდინარე ფოთზე და ხობის რაიონში. ყოველივე ეს საქართველოში თევზჭერას ორჯერ გაზრდის.

ჩვენი რესპუბლიკის მებადურებს ყოველნაირი პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური შრომისა და დასვენებისათვის.

ლ. ჟინჟლაძე.

შრომაში ახალი გამარჯვებებით ხვდება თავის ტრადიციულ დღესასწაულს ბათუმის კოლმეურნეობა „წითელი მებადურის“ კოლექტივი. გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პოწინავეთა შორისაა სჩს-99 სეინერის კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს კაპიტან-ბრიგადირი სერგი ჭირია. მებადურებმა ვალდებულება იკისრეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება სამ წელიწადში შეასრულონ.

სურათებზე: სერგი ჭირია; სეინერები ზღვაში გასვლის წინ.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

გასტროლები და შთაბეჭდილებები

ბაკოს სამედ ვურღუნის სახელობის რუსული თეატრი, რომელიც თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული და შაუმიანის სახელობის სომხური თეატრების შენობებში უჩვენებს საგასტროლო სპექტაკლებს, საბჭოთა აზერბაიჯანის ტოლია. იგი გაიხსნა 1920 წლის 29 დეკემბერს ბაქოში და თავდაპირველად „თავისუფალი სატირ-აგიტთეატრი“ ეწოდებოდა. პირველ ხანებში თეატრის რეპერტუარში იყო საპირბოროტო ცხოვრებისეულ საკითხებზე დაწერილი პატარ-პატარა პიესები, რომლებშიც ავტორები კიცხავდნენ ძველი დროის, რევოლუციამდელი პერიოდის გადმონაშთებსა და უგვანო ტრაიციებს, ამით ამართლებდა კიდეც თავის სახელწოდებას „სატირ-აგიტთეატრი“.

სპექტაკლებში ჩქეფდა ახალგაზრდული ენერგიული სიცოცხლე, რითაც თეატრმა მტკიცე კავშირი დაამყარა თავის მაყურებელთან — მუშათა კლასთან და რომელიც ახალ-ახალი ფორმებით გრძელდება მთელი ამ 60 წლის მანძილზე.

სწორედ ამ გარემოებამ სრულიად კანონზომიერად მისცა უფლება ამ თეატრს 1923 წელს ქცეულიყო ბაქოს მუშათა თეატრად. თეატრი კვლავ თანამედროვეობას ეტყოდა, ამდიდრებდა ფორმებს, სცენურ სამუალებებს და რეპერტუარის საფუძვლადაც თანამედროვე ცხოვრების ამსახველ მასალად ძირითადად ეროვნულ დრამატურგიას მიიჩნევდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1930 წელი, როდესაც დაიდგა ჯაფარ ჯაფარლის პიესა „სვედლი“, 1956 წელს თეატრს მიენიჭა სამედ ვურღუნის სახელი, მწერლისა, რომლის ნაწარმოებებიც („ვაგიფ“, „ხანლარ“, „ფარხარდ და შირინ“) არაერთხელ დადგმულა ამ სცენაზე.

არანაკლებ ინტერესს იჩენს თეატრი რუსული და დასავლეთ ევროპის კლასიკური დრამატურგიისადმი, რომლის ნიმუშებს ვხვდებით მრავალფეროვან საგასტროლო რეპერტუარშიც. ესენია მ. გორკის „ფსკერზე“, ფ. საგანის „ქანცგამოლეული ცხენი“, ა. გელმანის „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“, მ. ვორფოლომეევის „წმინდანი და ცოდვილი“, ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“, კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, ჯ. ფლეტჩერის „მომრჯულებლის მომრჯულებელი“, რ. ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი“.

ნაირსახოვანი რეპერტუარი თავისთავად ლაპარაკობს არა მარტო გაბედულებაზე, სითამამეზე, არამედ გარკვეულ შემოქმედებითს სიმწიფეზეც.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარს ამშვენებს იტალიური თეატრის რეფორმატორის კ. გოლდონის ყომედია „სასტუმროს დიასახლისი“, რომლის დამდგმელი რეჟისორია აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. სელიმოვა, მხატვარი — გ. ბელოვი, კოსტიუმების მხატვარი — გ. აკოფოვი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის გ. კალმანს.

ეს პოპულარული კომედია თავისი გაბედული და დემოკრატიული იდეებით დღესაც ინახრჩუნებს თავის პირვანდელ სიხალისეს.

სპექტაკლი 1973 წელს დაიდგა და ამ ხნის მანძილზე სულ წარმატება აქვს. გულწრფელი და თავშეკავებული კომიზმი, ცოცხალი, გონებამახვილური იუმორი იზიდავს ამ სპექტაკლის მაყურებელს.

ი. პეროლოვა სასტუმროს დიასახლისის მირანდოლინას როლში დიდი უშუალობით გვიხატავს სიზრიანი და მარჯვე, უბრალო, მაგრამ გონიერი და ეშმაკი ქალის სახეს, რასაც ხელს უწყობს მსახიობის სკენური მომზიბვლელობა. ი. პეროლოვა აქტიუალურ ფერებსა და ნიუანსებს ძარჯვედ იყენებს სათანადო სიტუაციებში, ამ მხრივ საინტერესოა გულის შეღონების სცენა და მოტყუებული რიპაფრატას გამასხარავება, რაც დიდი გულწრფელობით იყო გათამაშებული.

მისი ღირსეული პარტნიორია მსახიობი ვ. პასენჩი, რომლის ამაყი და გოროზი, ქალთმოძულე რიპაფრატა, როდესაც იცვლის თავის „მსოფლმხედველობას“ და გაებმება მომხიბვლელი დიასახლისის მახეში კომიკური ხერხებით ამძაფრებს სიტუაციას და იუმორის უტყუარ ნიშს ავლენს. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ მსაიობები ო. გამაზოვი — მარკიზი, ვ. მიასნიკოვი — გრაფი, ბ. ლუკინსკი — ფაბრიციო. ბ. ლუკინსკი პლასტიკას დაუფლებული საინტერესო მსახიობია, იგი მსუბუქად და მოხერხებულად მოქმედებს სცენაზე. უნდა ითქვას, რომ ფამდგმელი რეჟისორი და მსახიობები ღრმად სწვდებიან პერსონაჟთა არამარტო შინაგან ბუნებას, ხასიათებსა და სულიერ ინტერესებს, არამედ გვთავაზობენ თავისებურ პლასტიკურ მონახაზებსაც, რასაც ხელს უწყობს გემოვნებით შერჩეული მუსიკალური და ვოკალური ნომრები.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, მისი მოძრავი დანადგარი რა კურსის მონაცვლეობითა და მხატვრული გადაუებით მყუდრო სასტუმროს სრულ ილუზიას ქმნის.

საბჭოთა მწერლობის კლასიკოსის, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მ. გორკის პიესები ყველა თეატრისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია, მისი მაღალიდეური, მხატვრულად რთული ნაწარმოებების სცენაზე წარმოსახვა დასის შემოქმედებითს სიმწიფესა და ოსტატობას მოითხოვს.

ამ თვალსაზრისით მ. გორკის „ფსკერზე“ თეატრის მნიშვნელოვანი ნამუშევარია, მას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ბაქოელთა რეპერტუარში. სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. მამედოვი, რეჟისორია ე. ალიევი, მხატვარი — ე. მამედოვი. სპექტაკლში გამოყენებულია სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის დ. შოსტაკოვიჩის მუსიკა.

ეს სპექტაკლი გამოხატავს სიმართლის ძიების დაუღალავ წყურვილს და გადაწყვეტილია როგორც სოციალურ-ფილოსოფიური ტრაგედია.

სპექტაკლის სიუჟეტური ხაზი დიდი შემოქმედებითი დატვირთვით ვითარდება, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანია მსახიობთა შინაგანი სიმართლით, თითოეული პერსონაჟის ხასიათში ღრმა წვდომით და სწორი ლოგიკური აქცენტებით მიღწეული ანსამბლურობა და პათოსი, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ადამიანი და მისი მაღალი ზნეობრიობა — ეს გახლავთ სპექტაკლის მოქალაქეობრივი პოზიცია და ფილოსოფიური ქვეტექსტი.

თანამედროვე, ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანისა და ცხოვრებისეული პრობლემების მხატვრული წარმოსახვა, კლასიკური დრამატურგიისადმი დღეკანდელობის თვალსაზრისით, მიდგომა და ხორცშესხმა ბაქოელთა მხატვრული კრედოა, რაც სხვა საგასტროლო სპექტაკლებშიც უფრო აშკარა ხდება.

მ. გოგოლაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: კ. გოლდონის პიესის „სასტუმროს დიასახლისის“ ერთი სცენა; კავალერი რიპაფრატა — ვ. პასენჩნი; მირანდოლინა, სასტუმროს დიასახლისი — ი. პეროლოვა.

ვ. ბენგიურის ფოტო.

კლასიკური დრამაზურგია დღევანდელობის თვალით

ვუგრუნდებით დაბეჭდილს

ისევ მარუხი

ბახსოვთ, მკითხველო, შარშან მაისში „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ხტაავდა ბიჭი მარუხზე“, სადაც ვიუწყებოდით, რომ 1942 წლის ოქტომბერში კავკასიის დაცვისთვის ბრძოლებში მარუხის უღელტეხილზე გმირულად დაიღუპა 18 წლის მხატვარი მეომარი ავთანდილ (კაკო) თომაშვილი.

ამხანაგებმა ავთანდილის ნეშტი მთიდან ჩამოასვენეს და მხედრული დიდებით დაკრძალეს ერთ-ერთ ნაპრალში, შესასვლელს კი დიდი ქვები ააფარეს, რომ ნადირს შიგ არ შეეღწია.

„კომუნისტის“ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენმა ახალგაზრდებმა სურვილი გამოთქვეს, მოეძიათ ა. თომაშვილის ნეშტი, მიეგნოთ 1942 წლის აგვისტო-დეკემბერში ვერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მარუხის უღელტეხილზე გმართული ბრძოლების ისტორიის ამსახველი მასალებისათვის. შარშან 1 აგვისტოს შეიქმნა „კომუნისტის“ მარუხის საძიებო-დაზვერვითი ექსპედიცია. ჩვენს მკითხველებს ექსპედიციის კვლევის შედეგი საკმაოდ ვრცლად გავაცანით. საგულისხმოა, რომ ჩვენი ახალგაზრდები მარუხის უღელტეხილზე შეხვდნენ როსტოველ გლაციოლოგებს, რომლებიც დაეხმარნენ მათ სადაზვერვო მუშაობაში.

ექსპედიციის წევრების შეხვედრას გლაციოლოგებთან იმიტომ ვიხსენებთ, რომ მას ეხებოდა ამა წლის 19 თებერვლის „პრავდის“ წერილი „იყო ბრძოლა მარხუზე“. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ,ბომვნა ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის პრაკუბანსკის რაიონის ერთ-ერთი ტექნიკუმის მოსწავლემ ჰამიდ კაიტოვმა მარუხის უღელტეხილზე უნაგირა მწვერვალის პირდაპირ პარტბილეთი. აქ მან ნახა ადამიანის ჩონჩხი, დაცლილი ვაზნები და ქვა, რომლის ქვეშაც დრო-ჟამისაგან გაცრეცილი დოკუმენტი იყო. იქვე ზუყოს ნაპერი აღმოჩნდა, რომელზედაც ამოკოთხა „ბლოკნოტი“. წერილის ავტორები ვ. პანკრატოვი და ვ. ჩერტკოვი აღნიშნავდნენ: „გლაციოლოგებმა გვიამბეს ამ ადგილებში საქართველოდან ჩამოსული ჯგუფი მარუხზე დაღუპულ მხატვარს ეძებდაო. სავარაუდოა, რომ ბლოკნოტი ეკუთვნოდა ადამიანს, რომელიც წერდა ან ხატავდა. ალბენი, ეს დეტალი დაგვეხმაროს პარტბილეთის მფლობელის სახელის დადგენაშიო.

კრიმინალისტური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს საკანდიდატო ბარათი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას გაუცია. დოკუმენტში გამოვლინდა სტამბური ტექსტი და ხელით შესრულებული მინაწერი. ერთ-ერთ ნაფლეთზე იკითხება სამი ერთმანეთს მიყოლებული ასო „კაკ“.

1981 წლის 10 ივლისის ნომერში გაზეთი „პრავდა“ კვლავ უბრუნდება რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნებულ ამ წერილს და გვთავაზობს მკითხველთა გამოხმაურებას სათაურით „ვინ არის იგი?“.

ბი რას ვკითხულობთ აქ. „კაკ“ შეიძლება იყოს „კაკიაშვილის“ ან „კაკდას“ გვარის ნაშთი.

„1942 წლის 5 სექტემბერს გამთენიისას, — იტყობინება ს. ჯ. გელაშვილი თბილისიდან, — ფაშისტებმა გაიფრთხილეს იერიში მიიტანეს მარუხის უღელტეხილის დამცველთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი, უკვე გრძნობას ვკარგავდი, უკანასკნელი ძალაც მოვიკრიბე და პარტბილეთი ქვის ქვეშ ამოვდე, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში“.

ამ დიდ განსაცდელზე, რომელიც წილად ხვდა უღელტეხილის დამცველებს, „პრავდის“ რედაქციას სწერს 394-ე დივიზიის 808-ე მსროლელი პოლკის მეორე ბატალიონის ყოფილი კომისარი ი. ვ. ბალანჩიკაძე: ნაადრევმა სიცივემ ზაფხულის ფორმის ტანსაცმელში მოგვისწრო. საკმელიც კი გვაკლდა, მაგრამ მებრძოლები მაინც თავგანწირვით იბრძოდნენ და, როცა უკანასკნელი წუთების მოახლოებას გრძნობდნენ, ცდილობდნენ პარტბილეთი გადაერჩინეთ, სადმე დაემალათ...

რაც შეეხება „ბლოკნოტს“ და ვარაუდს — ხომ არ იყო დაღუპული პარტბილეთის მფლობელი მხატვარი? ამის თაობაზე თბილისელი ნ. გ. თომაშვილი „პრავდის“ რედაქციას სწერს: ჰამიდა კაიტოვს აღმოჩენის ცნობამ დიდად ამაღელვა. საქმე ის გახლავთ, რომ წერილში დასახელებული ქართული ჯგუფის წევრები ჩემი დაღუპული ძმის ნეშტს ეძებდნენ. იგი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ავთანდილ (კაკო) გიორგის-ძე თომაშვილი, 1923 წელს დაბადებული... თბილისელი პედაგოგი წერს მისი ძმის დაღუპვისა და დაკრძალვის ამბავს, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია. და ბოლოს ნ. თომაშვილი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: თქვენ მიერ წაკითხულ „კაკ“ სიტყვაში, თუ მესამე ასოს წინა მონახაზს მოვუშლით, გამოვა „კაკ“ — კაკო — ჩემი ძმის მეორე სახელი. იქნებ ეს რაიმე კვალის ნიშანი იყოს?

შემდეგ წერილში მოთხრობილია, თუ როგორ დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოებრიობა, ჩვენი ახალგაზრდობა, მარუხის გმირული ბრძოლებით. ხსოვნა დაღუპულებისა მარად ცოცხლობს ჩვენს გულში.

ძიება და ვარაუდი

მეგობრობა „მეგობრობით“ იწყება

„მეგობრობა“ — ასე ეწოდება სტუდენტთა ინტერნაციონალური ბანაკს, რომელიც 11 ივლისს გაიხსნა გაგრის მახლობლად სოფელ ალახაძეში. ერთი თვის განმავლობაში ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სამშენებლო რაზმების მებრძოლები თავიანთ ქართველ თანატოლებთან ერთად აქ იმუშავებენ ახალი ჯანმრთელობის კერების კორპუსების მშენებლობებზე, ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობაში მოკრეფენ ჩაისა და დაფნას, გამარგლავენ ციტრუსის პლანტაციებს.

— ჩვენი ინტერნაციონალური ბანაკის პროგრამა საინტერესო და შინაარსიანია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბანაკის უფროსმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო კონსტრუქციათა კათედრის ასისტენტმა თამაზ ხმელიძემ. — შრომასთან ერთად ყმაწვილებს ელით ექსკურსიები შავი ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე, შეხვედრები შრომის გმირებთან, მანიფესტაციები, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალი და სპარტაკიადა. დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის, ინტერნაციონალური ბანაკის მონაწილე ქვეყნების დღეების მოწყობა.

ამასთან ერთად თავიანთ საზღვარგარეთელ მეგობრებთან გაატარებენ შრომის სემესტრს საქართველოს საუკეთესო სტუდენტური სამშენებლო რაზმებიც. ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრაადში თბილისიდან უკვე გაემგზავრნენ მომავალი პედაგოგები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების მარშრუტი უნგრეთის ქალაქ ვესპრეიმში მიდის. ბერლინისა და იენის ახალმშენებლობებზე თავიანთ გერმანელ მეგობრებთან იმუშავებენ თბილისის უნივერსიტეტის სამშენებლო რაზმები, ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში გაემგზავრება ქართველი პოლიტექნიკოსი სტუდენტების რაზმი. (საქინფორმი).

მიფრინავს თანამგზავრი „მეტეორ-ბუნება“

1981 წლის 10 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „მეტეორ-ბუნება“.

თანამგზავრის ძირითადი ამოცანაა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევის განგრძობისათვის, ჭვენაფენი ზედაპირისა და ატმოსფეროს პარამეტრების დისტანციურ გაზომვათა მეთოდების დახვეწისათვის.

თანამგზავრზე დადგმული:

— გაშლადი სატელევიზიო აპარატურა სპექტრის რამდენიმე არეში დედამიწის ზედაპირის გამოსახულების მისაღებად.

— ექსპერიმენტული სამარხიანი მიკროტალღური რადიომეტრი.

თანამგზავრზე დადგმულია აგრეთვე სამეცნიერო აპარატურის კომპლექსი, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტებმა დააპროექტეს და უაამზადეს „ბულგარეთ-1300“ პროგრამის შესაბამისად.

სამეცნიერო აპარატურის გარდა „მეტეორ-ბუნება“ თანამგზავრზე არის:

— სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანამგზავრის მუდმივ ორიენტაციას დედამიწისადმი;

— ელექტრომომარაგების სისტემა, რომლის მზის ბატარეები ავტონომიურად ორიენტირ[illegible] მზისადმი;

— ორბიტის კორექციის [illegible] ტემა;

— რადიოსისტემა ორბ[illegible] ელემენტების ზუსტი გაზ[illegible] სათვის და რადიოტელემეტ[illegible] ლი სისტემა დედამიწაზე სა[illegible] ტო აპარატურის მუშაობის მ[illegible] ცემების გადმოცემისათვის.

თანამგზავრზე დადგმული [illegible] რატურა ნორმალურად მუშაო[illegible]

სამეცნიერო ინფორმაციას [illegible] სამუშავებლად და გამოსაყ[illegible] ლად იღებს სსრ კავშირის [illegible] მოსა და ბუნებრივი რესურს[illegible] შესწავლის სახელმწიფო სა[illegible] ნიერო-კვლევითი ცენტრი და [illegible] ლგარეთის სახალხო რესპუბ[illegible] კის მეცნიერებათა აკადემიის [illegible] სმოსური კვლევის ცენტრალ[illegible] ლაბორატორია.

„მეტეორ-ბუნება“ თანამგ[illegible] რთან ერთად იმავე მატარებ[illegible] რაკეტით ორბიტაზე თან[illegible] იგივე პარამეტრებით გაყვანილ[illegible] დედამიწის მცირე ხელოვნ[illegible] თანამგზავრი „ისკრა“ სამეცნ[illegible] რო-ტექნიკური ექსპერიმენტებ[illegible] მოსაწყობად.

დედამიწის ხელოვნური (თან[illegible] გზავრი „ისკრა“ შექმნა მოს[illegible] ვის სერგო ორჯონიკიძის სა[illegible] ლობის საავიაციო ინსტიტუტ[illegible] სტუდენტთა საკონსტრუქტო[illegible] ბიურომ. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მატარებელი რაკეტების გათვალისწინებულ გაშვებათა დამთავრებასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ 1981 წლის 8 ივლისს გამოცხადებული წყნარი ოკეანის 50 საზღვაო მილი რადიუსის რაიონები, რომელთა ცენტრის კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 44 გრადუსი და 49 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 168 გრადუსი და 12 მინუტი, და [illegible] საზღვაო მილი რადიუსის რაიონები, რომელთა ცენტრის კოორ[illegible] ნატებია ჩრდილოეთი განე[illegible] 34 გრადუსი და 30 მინუტი, [illegible] მოსავლეთი გრძედის 171 გრა[illegible] სი და 10 მინუტი, — 1981 წ[illegible] 12 ივლისიდან თავისუფალია ზ[illegible] ოსნობისა და თვითმფრინავე[illegible] ფრენისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘ

როცა მოედანზე ათნი დარჩნენ

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ზედიზედ შვიდი გასვლითი მატჩის სერიიდან პირველი ერეკვნში, ადგილობრივ „არარატთან“ გამართეს. ტელემაყურებლებმა ნახეს თუ რა ლაღად და უშეფოვთოდ ითამაშეს დინამოელებმა, მაშინაც კი, როცა ისინი მინდორზე ათნი იყვნენ. თბილისელები ხმამ 55 წუთის განმავლობაში რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ და მაინც ერთთავად მწვავედ უტევდნენ მეტოქეთა კარს. შეგახსენებთ გატანილ გოლებს: მე-15 წუთზე საჯარიმოდან ძლიერად დაარტყა გუცაევმა და ერევნელმა ბონდარენკომ ბურთი კარში. ჩაჭრა. 1:0 — თბილისელთა სასარგებლოდ. 38-ე წუთზე ანდრონიკ ხაჩატრიანმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1, მე-60 წუთზე შენგელიამ დააწინაურა „დინამო“ — 2:1, მანვე 65-ე წუთზე გაზარდა ანგარიში — 3:1 და ბოლოს, 77-ე წუთზე იმარჯვა „დარასელიამ — 4:1.

თბილისელებმა, ერთობ კრიტიკულ ვითარებაში შესაშური სიდინჯე გამოიჩინეს და უფრო მეტიც, თამაშის სადავეები ხელთ იგდეს. სამწუხაროდ, ამ დღეს გუნდი დაადალატა სულაქველიძემ. მაშინ, როცა იგი მატჩის არბიტრმა მ. სტეპანმა გააფრთხილა, მან ემოციები ვერ დააოკა, სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და მოედნიდანაც „ბენა გაძევებული.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ანდღულაძე, ჩიკვაძე, ხიზანიშვილი (სვანაძე), მუჯირი, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (თავაძე).

დუბლიორთა მატჩი მოიგეს ერევნელებმა — 1:0.

●

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის კიდევ ექვსი მატჩი. შედეგები ასეთია: (ცსკა-„სპარტაკი“ — 2:0, „დნეპრი“-ასკ — 0:1, კიევის „დინამო“-„ყაირათი“ — 3:0, „ჩერნომორეცი“-„ფახთაქორი“ — 1:0, „ყუბანი“-„ზენიტი — 2:2, „ტავრია“-მინსკის „დინამო“ — 2:2, „შახტიორისა“ და „ნეფთჩის“ ამ ტურის შეხვედრა გადაიდო და მისი გამართვის თარიღი მოგვიანებით დადგინდება. დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებულნი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ (კ)	19	14	5	0	32-8	33
„სპარტაკი“	18	10	3	5	34-21	23
„დინ.“ (თბ)	18	9	5	4	32-16	23
„ტორპედო“	18	8	5	5	20-16	21
„დინ.“ (მ)	18	8	4	6	23-18	20
ცსკა	19	8	4	7	23-21	20
„ტავრია“	19	7	5	7	18-20	19
„ყაირათი“	19	6	7	6	23-23	19
„ჩერნომ.“	19	7	4	8	18-24	18
„დინ.“ (ბნ)	18	6	6	6	20-17	18
„ყუბანი“	19	6	5	8	20-22	17
„შახტიორი“	18	5	7	6	22-18	17
ასკ	18	5	6	7	18-28	16
„ნეფთჩი“	18	4	8	6	14-23	16
„ზენიტი“	19	5	5	9	18-24	15
„არარატი“	18	5	5	8	17-26	15
„დნეპრი“	19	5	4	10	22-34	14
„ფახთაქ.“	18	2	2	13	15-30	8

მედლების ორი კომპლექტი გაანაწილდა

გუშინ თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ წყალსაცურაო კომპლექსში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტრამპლინიდან წყალტრამლინი. ქალთა შორის ოქროს მედალს დაეუფლა კიეველი ანა ცირულნიკოვა. მეორე ადგილი დაიკავა მინსკელმა ირინე სიდოროვამ, მესამე — მოსკოველმა ირინე კალინინამ. ვაჟებში უძლიერესი იყო ჩელიაბინსკელი სერგი კუზმინი. ოლიმპიური ჩემპიონი ა. პორტნოვი მეორე ადგილზე დასჯერდა. მესამე ადგილი წილხვდა ელექტროსტალელ სერგეი ლანგო